საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №617

თბილისი „29“ 06 2018 წ

„2018-2019 სასწავლო წელს სექტორების შესაბამისად საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის დამატებითი ვადის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 26 ივნისის N611 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2018 წლის 27 ივნისის N820769 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „2018-2019 სასწავლო წელს სექტორების შესაბამისად საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის დამატებითი ვადის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 26 ივნისის N611 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დუზაგრამის საჯარო სკოლა.“.

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ ჩხენკელი